

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,  
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87  
ელ. ფოსტა: [info@bsu.edu.ge](mailto:info@bsu.edu.ge)

დადგენილება №118

2014 წლის 26 სექტემბერი,  
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების  
განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“ დანართი 1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი „რსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 04 მარტის №38 დადგენილება;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,  
პროფესორი

დავით ბარათაშვილი

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი**

**მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელი**

1.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დებულებით გათვალისწინებული წესებით;

1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების თაობაზე, გადაწყვეტილებას ინიციატორი ფაკულტეტის წარდგინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებით, დებულობს ბსუ-ს აკადემიური საბჭო;

1.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;

1.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ - მასწავლებლების მიერ;

1.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

1.6. პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროფესიული პროგრამის შესაბამისი კვალიფიკაციის ბსუ-ს აკადემიური პირი ან მოწვეული მასწავლებელი/ სპეციალისტი .

1.7. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამის განხორციელებას, მის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირებას, პროგრამის დაკომპლექტებას შესაბამისი პროფესორ - მასწავლებლებით, დეკანთან შეთანხმებით, სილაბუსების მომზადების ორგანიზებას, ანგარიშის წარდგენას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე პროფესიული პროგრამების განხორციელების შესახებ.

**მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-ფორმა**

**2.1. პროგრამის თავფურცელი მოიცავს:**

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დასახელება
- პროგრამის სახელწოდება
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია
- მიმართულება/დარგი/პროფესიული სპეციალიზაცია, კოდის მითითებით
- პროფესიული განათლების საფეხური
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით და საათებით
- სწავლების ენა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეკვიზიტები
- პროგრამის დამტკიცების დადგენილება, თარიღი და ნომერი

**2.2. პროგრამაში აისახება:**

- \_სფეროს აღწერა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
- სწავლის შედეგი(პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტის შესაბამისად);
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- კრედიტებისა და სასწავლო კურსების განაწილების სტრუქტურა პროგრამის საფეხურის მიხედვით;
- სასწავლო გეგმა (პროფესიული სტუდენტის დატვირთვის სახეების აღნიშვნით ასტრონომიულ საათებში);
- სწავლის შედეგების რუკა;
- ინფორმაცია პროგრამის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ;

- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ;
- დასაქმების სფერო;
- სწავლის გაგრძელების საშუალება.

**2.3. პროგრამის თან ერთვის:**

სასწავლო კურსების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები.

**მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების მეთოდოლოგია**

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

3.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის დატვირთვა გამოიხატება კრედიტებში, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის გავლის გზით, რომლის მოცულობა პროგრამაში ჯამურად პროგრამის მთლიანი მოცულობის არანაკლებ 40% შეადგენს.

3.4. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების შეფარდება განისაზღვრება პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

3.5. პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების მრავალკომპონენტური, 100 ქულიანი შეფასების სისტემა, სადაც დადებითი შეფასების მისაღწევად პროფესიულ სტუდენტს ევალება არანაკლებ 51 ქულის დაგროვება სასწავლო კურსის გავლის შედეგად.

3.6. შეფასების დეტალური სისტემა აისახება პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში.

**მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების წესი და პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

4.1. უნივერსიტეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღებაში.

4.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გადავიდეს მსგავსი მიმართულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებობის შემთხვევაში ან სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამიდან მისთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

4.3. პროფესიული პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გატარების შესახებ.

4.4. შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

**მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი**

5.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გაანგარიშებულია კრედიტებში, რისი სამართლებრივი საფუძველიცაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №121/ნ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;

5.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტი გამოხატავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო ან პრაქტიკული კურსით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (პროფესიული სტუდენტის დატვირთვას);

5.3. პროფესიული პროგრამებით გათვალისწინებული ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში;

5.4. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იძლეოდეს სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, რაც დგინდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკის კომპონენტებს.

5.5. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

5.6. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც დგინდება სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასებით სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

#### **მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების პროცედურა**

6.1. უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტების კვოტის ფარგლებში, ცხადდება მიღება კონკრეტული საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური;
- ბ) ჩარიცხვის პირობები;
- გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი;
- დ) დოკუმენტების წარმოდგენის დაწყების და დასრულების თარიღები;
- ე) ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსების წესი;
- ვ) საკონტაქტო ინფორმაცია.

#### **მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები**

1. ბსუ-სხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, რის გამოც ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას(პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული მასწავლებლის კითხვარებს, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კითხვარებს, სასწავლო კურსის(სილაბუსის) შემოწმების ფორმას შიდა შეფასებისათვის/და პროგრამის შეფასების კითხვარებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას შიდა შეფასებისათვის, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

#### **მუხლი 8. შეფასების სისტემა**

8.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებისას გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

(A)ფრიადი–მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;(B)მალიანკარგი–მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C)კარგი–მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი–მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი–მაქსიმალური შეფასების 51–60%;

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები,რაც ნიშნავს,რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

8.2.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, სწავლების იმავე სემესტრში. ძირითდ დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა;

8.3.პროფესიული სტუდენტის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

8.5. 100-ქულიანი შეფასების სისტემის ქულათა გადაწილება ხდება შემდეგი სქემით:

ა) აქტიურობა(სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, საკონტროლო სამუშაო, გუნდური ან პერსონალური პრეზენტაცია, წერიტი და ზეპირი საშინაო დავალებები, ან სხვა სახის სამუშაო პედაგოგის შერჩევით)–მაქსიმუმ 40 ქულა;

რეიტინგული წერა(წერიტი) – მაქსიმუმ 20 ქულა;

დასკვნითი გამოცდა–მაქსიმუმ 40 ქულა

8.6. როგორც შუალედური შეფასების, ასევე დასკვნითი გამოცდის ფორმატს განსაზღვრავს საგნის წამყვანი პროფესიული მასწავლებელი უნივერსიტეტში შემოღებული შეფასების ერთიანი სისტემის ფარგლებში.

### **მუხლი 9. კვალიფიკაციის მინიჭება. საკვალიფიკაციო კომისია. პროფესიული დიპლომის გაცემა.**

9.1 პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი მის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისება,რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში დადებითი შეფასების მიღებითან/და კრედიტების აღიარებით/ჩათვლით.

9.2. კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია,რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

ა )პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამი სხელმძღვანელი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დ) პროგრამაში მონაწილე სპეციალობის პროფესიული მასწავლებელი.

9.3. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებული აქვთ შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტები.

9.4. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების/არ მინიჭების შესახებ, საკვალიფიკაციო კომისიის ინფორმაციის საფუძველზე, დებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ–ს რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

9.5. პროფესიული სტუდენტი,რომელიც წარმატებით დაძლევა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, იღებს პროფესიულ დიპლომს და შესაბამის დანართს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით.

### **მუხლი10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებელი**

10.1. პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან პრაქტიკულ კურსს,უძღვება თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს,მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის პროგრამების შემუშავებაში.

10.2. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი,რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

### **მუხლი11. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის მიღების წესი**

11.1. ყველა მსურველს,“პროფესიული განათლების შესახებ“საქართველოს კანონით დადგენილი წესით,უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად; პროფესიულ სტუდენტად შეიძლება ჩაირიცხოს პირი,პროფესიული განათლების შესახებ“საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში;

11.2.კონკრეტული პროფესიული სტანდარტით შესაძლებელია დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს პროფესიულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის მიღების წესი, რაც აისახება შესაბამის პროფესიულ პროგრამაში.

### **მუხლი 12. ტესტირება და ტესტირებაში მონაწილეობის უფლება**

1. „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანების

მე-2 თავის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი წესით ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე”.

2. დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

3. დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ-გაზაფხულზე და შემოდგომაზე, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

### **მუხლი 13. ტესტირების სამართლებრივი შედეგები**

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად:

1. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.

2. დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.

### **მუხლი 14. პროფესიული სტუდენტი**

პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა ის პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

### **მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა**

15.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

15.2. რექტორის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ საჯაროდ ქვეყნდება ბსუ-ს ვებ-ვერდზე.

15.3. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები უნივერსიტეტს ჩარიცხვის ბრძანების გამოცემიდან 7 დღის ვადაში შეაქვს სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

### **მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოსადგენი დოკუმენტები**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა დადგენილ ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (დედანი), რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის სტანდარტით.

გ) ორი ცალი ფოტოსურათი 3X4.

დ) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კონკრეტული პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

### **მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის სასწავლო რეგისტრაცია**

17.1. ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია.

17.2. აკადემიური რეგისტრაციის გასავლელად, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) გამოცხადებულ ვადაში შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი;

ბ) გააფორმოს უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურეობის ხელშეკრულება;

17.3. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ დარეგისტრირდება დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

**მუხლი 18. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის**

18.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა, სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება.

18.2. პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება შედგენილია უნივერსიტეტის სტანდარტული ფორმით.

18.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

**მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა**

19.1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით, მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების, მისი სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან და სტუდენტის სხვა უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლების თაობაზე.

19.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნა უნივერსიტეტს წარედგინება სწავლების დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში;

19.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველის გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველებია:

ა) ხანგრძლივი ავადმყოფობა;

ბ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად გამგზავრება;

გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა და რეგისტრაციის გაუვლელიობა;

დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

ე) მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

**მუხლი 20. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა**

20.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) გარდაცვალება;

დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენით უნივერსიტეტის შინაგანაწესის უხეში დარღვევა;

ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნით.

20.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

20.3. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის ხელახლა მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით და დგენილი წესით.

**მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის მობილობა და მიღებული განათლების აღიარება**

21.1. მობილობით სტუდენტების მიღებისათვის გათვალისწინებულ ადგილებს, უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული ადგილების თავისუფალი რაოდენობის ფარგლებში, განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი, თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისათვის და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

21.2. პროფესიული სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს მობილობის უფლებას, ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს მისი პირადი საქმისა და საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები.

21.3. უნივერსიტეტი ახდენს მობილობის მსურველის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას და მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელი საფეხურიდან გააგრძელებს იგი სწავლას.

21.4. მობილობის დროს ბსუ ახდენს მობილობის მსურველის მიერ წინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარებას, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება შესაბამისი სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგების შესაბამისობა/თავსებადობა

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

21.5. აღიარებას ექვემდებარება ამავე ან უფრო მაღალი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები.

21.6. კრედიტების აღიარებისათვის მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მის მიერ გავლილი კრედიტების თაობაზე.

21.7. პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გამოიცემა რექტორის ერთიანი ბრძანება, მობილობის საფუძველზე პროფესიული სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ.

21.8. უნივერსიტეტში მობილობის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ერთიანი რეესტრი) და სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი. რეესტრის ხელმძღვანელი და ადმინისტრატორი ვალდებულია მობილობის მსურველს გაუწიოს კონსულტაცია.

21.9. სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას/თავსებადობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე.

21.10. აღნიშნული დასკვნა და ინდივიდუალური სამართლებლივი აქტის პროექტი ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ხორციელდება პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

21.11. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

21.12. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების მიერ, მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პროფესიულ სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობის/თავსებადობის დადგენის გზით.

21.13. თუ პროგრამით გათვალისწინებული და უკვე ათვისებული სასწავლო კომპონენტის სახელწოდება განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სახელწოდებისაგან, უნივერსიტეტს სრული უფლება აქვს მოითხოვოს ამ სასწავლო კომპონენტის სილაბუსი, შეისწავლოს იგი და თუ შინაარსობრივად კომპონენტები ემთხვევა, ის შეიძლება იქნას აღიარებული დაწესებულების მიერ.

21.14. თუ გავლილი დისციპლინის კრედიტების რაოდენობა ემთხვევა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინი სკრედიტებს, მისი აღიარება ხდება ავტომატურად;

21.15. თუ გავლილი სასწავლო დისციპლინის კრედიტები აღემატება ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინის კრედიტების რაოდენობას, და ეს სხვაობა დიდია, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

21.16. თუ გავლილი სასწავლო დისციპლინის კრედიტები ნაკლებია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისციპლინის კრედიტების რაოდენობაზე, და ეს სხვაობა დიდია, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია იმ სასწავლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, საიდანაც ხდება მობილობა;

21.17. დასაშვებია განსხვავებული კრედიტების რაოდენობის აღიარება გამოწვევის შემთხვევაში, თუმცა სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 2 კრედიტს.

## **მუხლი 22. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი და პირობები**

22.1 წინამდებარე მუხლი ეხება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურებს. არაფორმალურ პროფესიულ განათლებად მიიჩნევა პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან



დამოუკიდებლად; არაფორმალური განათლების აღიარება მიზნად ისახავს არა ფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული წესის და ამ დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

22.2. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

22.3. არაფორმალური განათლების აღიარების წინაპირობაა პირის კომპეტენციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებებთან შესაბამისობის დადგენა, წარმოდგენილი საბუთების ანალიზისა და შესაბამისი გამოცდის საშუალებით. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ეფუძნება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობას.

22.4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილი კომისია.

22.5. კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს ნიშნავს ბსუ-ს რექტორი ბრძანების საფუძველზე.

22.6. კომისია შედგება 5 წევრისაგან:

22.6.1. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანი;

22.6.2. შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

22.6.3. შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მოწვეული მასწავლებელი;

22.6.4. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი, ვისთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

22.7. წარსადგენი დოკუმენტაცია:

22.7.1. პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარების ად ღირებულებების შესახებ;

22.7.2. პირადობის მოწმობის ასლი;

22.7.3. არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი, დიპლომი და სხვ.).

22.8. გადაწყვეტილების მიღება

22.8.1. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია: ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება; არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა; გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

22.8.2. შექმნილი კომისია ამოწმებს განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციებით, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით.

22.8.3. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

22.8.4. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;

ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

22.8.5. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

22.8.6. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

22.8.7. გადაწყვეტილებას ხელს აწერს რექტორი და მისი მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

22.8.8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით გამოცდა ინიშნება განაცხადის რეგისტრაციისთანავე არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა;

22.8.9. გამოცდის ჩატარების შესახებ სრული ინფორმაცია აღიარების კანდიდატს უნდა ეცნობოს გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5-7 კალენდარული დღით ადრე;

22.8.10. გამოცდას ატარებს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო კომისია;

22.8.11. გამოცდა შეიძლება შედგებოდეს თეორიული ცოდნის შემოწმებისა და პრაქტიკული უნარების დემონსტრირებისაგან;

22.8.12. გამოცდის შედეგები ფორმდება საგამოცდო კომისიის ოქმით, სადაც მიეთითება გამოცდის საბოლოო შედეგები, რასაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

22.8.13. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღიარების განმეორებითი მოთხოვნით პირს უფლება აქვს მიმართოს უნივერსიტეტს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში.

### **დასკვნითი დებულებანი**

მუხლი 23. დებულების მიღების წესი

23.1. პროფესიული განათლების დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

23.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე დებულების გაუქმება, ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით.